“დამიწყებთ ძებნას და მიპოვით,
თუ მთელი გულით მეძებთ.”

როგორ შევიცნოთ ღმერთი

როგორ შევიცნოთ ღმერთი

ღმერთისადმი დამორჩილებით აბრაამი “ღმერთის მეგობარი” გახდა. შენც შეგიძლია შეიცნო ღმერთი, განიცადო მისი წყალობა, სიმშვიდე და კურთხევა. ღმერთის შემეცნება, მისდამი სრული და ჭეშმარიტი მიძღვნის მეშვეობით, ყველაზე მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ჩვენს ცხოვრერბაში. რა საოცარებაა, რომ ღმერთი ეცხადება მათ, ვინც მთელი გულით წრფელად ეძებს მას!

თუ მოიქცევი შენი გზებიდან და მთლიანად დაუმორჩილებ ღმერთს შენს თავს, მიენდობი მის აღთქმებს და მიყვები მას მორჩილებით, მისი სული იცხოვრებს შენში და ვერაფერი ვერ ჩამოგაშორებს მის სიყვარულს. ის იქნება შენი ღმერთი, შენ კი მისი ძვირფასი მონაპოვარი. შენ გაიგებ, რომ მან დიდი ფასით გამოგისყიდა და სურს შენთან ერთობა ახლაც და მარადისობაშიც.

სთხოვე ღმერთს, რომ წმიდა წერილებიდან ციტატების შესწავლის დროს, მოგცეს უნარი გააზრებით ჩასწვდე მათ. ღმერთმა შთააგონა ღვთის კაცები ამ სიტყვების დასაწერად და სასწაულებრივად შეინარჩუნა ისინი მრავალი საუკუნის მანძილზე, მიუხედავად იმისა, რომ სატანა ყველანაირად ცდილობდა მათ განადგურებას

ერთია უფალი, უფალი, ჩვენი ღმერთი. გიყვარდეს უფალი, შენი ღმერთი მთელი შენი გულით და სულით, მთელი შენი შეძლებით.
მეორე რჯული 6:4, 5

რადგან ასე ამბობს უფალი, ცათა შემოქმედი (ის არის ღმერთი, რომელმაც მიწა გამოსახა და შექმნა; მან დაამყარა იგი, საუკაცრიელოდ არ შეუქმნია, დასასახლებლად გამოსახა): მე ვარ უფალი და მეტი არავინაა.
ესაია 45:18

რათა გაიგოს დედამიწის ყოველმა ხალხმა, რომ ღმერთია უფალი და სხვა არავინაა მის მეტი.
მესამე მეფეთა 8:60

მე ვარ უფალი, ეს არის ჩემი სახელი; ჩემს დიდებას არ მივცემ სხვას და ჩემს ქებას – ქამოქანდაკებულ კერპებს.
ესაია 42:8

თქვენა ხართ ჩემი მოწმენი, ამბობს უფალი და ჩემი მორჩილნი, რომელნიც ავირჩიე მე, რომ გცოდნოდათ და გერწმუნათ ჩემი, მიმხვდარიყავით, რომ მე ვარ ეს. ჩემამდე არ გამოსახულა ღმერთი და ჩემს შემდეგაც არ იქნება. მე ვარ, მე ვარ უფალი და არავინაა ჩემს გარდა მაცხოვარი!
ესაია 43:10, 11

ჩემკენ მოიქეცით და გადარჩებით, ქვეყნის ყოველო კუთხენო, რადგან მე ვარ ღმერთი და სხვა არავინაა.
ეს. 45:22

უფალი – გულუხვი და მოწყალეა

შემბრალე და ლმიობიერია უფალი, შემბრალე და მრავალმოწყალე. რადგან რაოდენ ცა მაღლაა დედამიწაზე, მისი წყალობაც ძლიერია მის მოშიშთა მიმართ.
ფსალმუნი 102:8, 11

ხოლო წყალობა უფლისა უკუნისამდეა მის მოშიშთა მიმართ,... და ვისაც ახსოვს მისი მცნებანი და ასრულებს კიდეც.
ფსალმუნის 102:17, 18

რომელ ღმერთს მოუთმენია შენს გარდა უკეთურება და უპატიებია ცოდვა,... რადგან წყალობის მოყვარულია. მიქა 7:18

არ დაილევა უფლის მადლი, არ შეწყდება მისი წყალობა; განახლდება ყველა სისხამზე, დიდია შენი იმედი.
გოდება იერემიასი 3:22, 23

კიდეც დასტანჯავს და კიდეც შეიბ-რალებს დიდი წყალობით.
გოდება იერემიასი 3:32

გულმოწყალეს წყალობით ექცევა. ფსალმუნის 17:26

აქეთ უფალი, რადგან კეთილია იგი, რადგან უკუნისამდეა მისი წყალობა. პირველი ნეშტთა 16:34

და წყალობა მისი თაობიდან თაობამდეა ღმერთის მოშიშთა მიმართ. ლუკას 1:5

ვიცოდი, რომ მონანიე და ლმობიერი ღმერთი ხარ, რისხვაგვიანი და მრავალმოწყალე; ნანობ ხოლმე ბოროტის ყოფას. იონა 4:2

შორიდან მომეცლინა უფალი: სამარადისო სიყვარულით შეგიყვარე, ამიტომაც მადლი შეგინახე. იერემია 31:2

რადგან მე ვიცი ჩემი განზახვები, რაც თქვენთვის განმიზრახავს, ამბობს უფალი, საკეთილდღეო განზრახვები და არა საზიანო, რათა მოგცეთ მომავალი და იმედი. იერემია 29:11

მე შეგიყვარეთ თქვენ, ამბობს უფალი. მალაქია 1:2

როგორც მამა შეიწყნარებს შვილებს, შეიწყნარა უფალმა მოშიშნი მისნი. ფსალმუნი 102:13

აჰა, სიმართლისათვის ვიწვნიე სიმწარე და შენ ამოზიდე ჩემი სული არარაობის ორმოდან, რადგან შენს ზურგს უკან მოისროლე ჩემი ცოდვები. ესაია 38:17

და ჩვენც შევიცნეთ და ვიწამეთ სიყვარული, რომელიც აქვს ღმერთს ჩვენდა მიმართ. ჩვენ გვიყვარს იგი, ვინაიდან პირველად მან შეგვიყვარა ჩვენ. 1იოანე 4:16, 19

უფალი, შენი ღმერთი, შენს წიაღშია, გმირი, რომელიც გიხსნის; სიხარულით გაიხარებს შენზე, განგაახლებს თავის სიყვარულში, სიმღერით იზეიმებს შენს გამო. სოფონია 3:17

4 ყველაზე ძვირფასი ცხოვრებაში – ეს ღმერთის შეცნობაა

თავის ღმერთის მცოდნე ხალხი კი მტკიცედ დადგება და იმოქმედებს. დანიელი 11:32

თუ დაიკვეხნის, დაიკვეხნოს რომ გონიერია და მიცნობს, რომ უფალი ვარ წყალობის, სამართლისა და სიმართლის მოქმედი ამ ქვეყანაზე, რადგან ეს მახარებს მე, ამბობს უფალი. იერემია 9:23

ნეტარ არიან შემნახველნი მის მცნებათა, მთელი გულით რომ ეძიებენ მას. ფსალმუნი 118:2

ვიმოწმებ დღეს თქვენს წინაშე ცას და დედამიწას: სიცოცხლე და სიკვდილი დაგიდევი წინ.... აირჩიე სიცოცხლე, გიყვარდეს უფალი, შენი ღმერთი, გესმოდეს მისი სიტყვა და მიეწებო მას, რადგან ის არის შენი სიცოცხლე. 2რჯული 30:19, 20

რადგან თქვენი სიკეთე მახარებს და არა მსხვერპლი, უფლის შემეცნება და არა აღსავლენი. ოსია 6:6

როგორც ირემი მიილტვის წყლის ნაკადულებისაკენ, ისე მოილტვის ჩემი სული შენსკენ, ღმერთო! ფსალმუნი 41:2

თქვა უფალმა: მე თავად წაგიძღვები და დაგავანებ. გამოსვლა 33:15

ულმერთოდ ცხოვრება სიკვდილის მსგავსია 5

უფალი თქვენთან არის, როცა თქვენ მასთან ხართ. თუ ძებნას დაუწყებთ, იპოვით. თუ თქვენ მიატოვეთ, ისიც მიგატოვებთ.
2 ნეშტთა 15:2

უნდოა ყველას გული და უკურნებელი, ვინ შეიცნობს მას?
იერემია 17:9

არის გზა, კაცს სწორი რომ ჰგონია, მაგრამ მისი ბოლო სიკვდილის გზაა. იგავი 16:25

რადგან თუ ღმერთმა არ დაინდო შემცოდე ანგელოზები, არამედ ბნელეთის ბორკილებით შეკრა და ჯოჯოხეთში ჩაყარა ისინი, განკი-თხვამდე დასამარხავად; მაშასადამე, იცის უფალმა, როგორ დაიხსნას ღვთისმოსავნი ცდუნებისაგან, ხოლო უკეთურნი განკითხვის დღისათვის შემოინახოს განსასჯელად. 2 პეტრე 2:4, 9

თუ არ შეისმენ უფლის სიტყვას და წინ აღუდგები უფლის ნაბრძანებს, უფლის ხელი იქნება თქვენს წინააღმდეგ.
1 მეფეთა 12:15

ვინც არ დარჩება ჩემში, ლერწივით გადაიგდება და გახმება; ხოლო შემდეგ აგროვებენ და ცეცხლში აგდებენ დაიწვას.
იოანე 15:6

6 ღმერთის შესამეცნებლად, საჭიროა მისი ძიება

დამიწყებთ ძებნას და მიპოვით, თუ მთელი გულით მეძიებთ.
იერ, 29:13

განძივით დაუწყებდი ძებნას და მოიპოვებ ღვთისმოშიშებას.
იგავი 2:4, 5

ითხოვეთ და მოგეცემათ, ეძებეთ და იპოვით; დააკაკუნეთ და გეგებეღებათ. მათე 7:7

ხოლო რწმენის გარეშე შეუძლებელია სათნოდ ყოფა, რადგან მას, ვინც უახლოვდება ღმერთს, უნდა სწამდეს, რომ ის არის, და რომ სანაცვლოს მიაგებს მის მაძიებელთ.
ებრაელთა 11:6

მიყვარს ჩემი მოყვარულნი და მიპოვნიან ჩემი მძებნელნი. იგ. 8:17

კეთილია უფალი მისი მოსავისთვის, მისი მძებნელი სულისათვის. გოდ. იერ. 3:25

ერთი სისხლისაგან შექმნა მან კაცთა მთელი მოდგმა, რათა დამკვიდრებულიყვნენ მთელი დედამიწის ზურგზე..., რათა ეძებნათ ღმერთი, სადმე ხომ არ წავაწყდებით ან ვპოვებთ მასო, თუმცა შორს როდია თითოეული ჩვენგანისაგან. საქმეები 17:26, 27

ისევ ღმერთს დავეკითხები და ღმერთს მივანდობთ ჩემს საქმეს.
იობი 5:8

ღმერთს სურს, რომ ჩვენ მასთან მივიდეთ 7

რადგან მოწყალე და შემბრალეა უფალი, ღმერთი თქვენი, პირს აღარ შეიბრუნებს თქვენგან, თუ დაუბრუნდებით მას.
2 ნეშტთა 30:9

რადგან შენ უფალო, კეთილი და შემბრალე ხარ და დიდად მოწყალე ყველას მიმართ, ვინც მოგიხმობს. ფსალმუნი 85:5

ახლოა უფალი ყველა მის მლოცველთან, ყოველთან, ვინც მას მოუხმობს ჭეშმარიტებით.
ფსალმუნი 144:18

მერე მოდით და ცილობა ვყოთ, ამბობს უფალი: მეწამულიც რომ იყოს თქვენი ცოდვები, თოვლივით გასპეტაკდება; ჭიაფერივით წითელიც რომ იყოს, მატყლის ფთილასავით გახდება. ესაია 1:18

მოდით ჩემთან ყოველი მაშვრალნო და ტვირთმძიმენო, და მე მოგასვენებთ თქვენ. იტვირთეთ ჩემი უღელი და ისწავლეთ ჩემგან, ვინაიდან მშვიდი და თამვდაბალი ვარ და ჰპოვებთ სულის სიმშვიდეს. მათე 11:28-29

ჩემთან მოსულს გარეთ არ გავაძევებ. იოანე 6:37

წავიდეთ და მივიქცეთ უფლისკენ, რადგან მან დაგვგლიჯა და თავადვე განგვკურნავს; მან დაგვჭრა და თავადვე შეგვიხვევს ჭრილობას. ოსია 6:1

ვინ არის შენი მსგავსი, უფალო... რომ იყოს ძლიერი სიწმიდით. გამოსვლა 15:11

არავინ არს უფალივით წმიდა, რადგან არავინ არის შენს გარდა. 1 მეფეთა 2:2

შორს იყოს ღმერთი ბოროტისაგან და ყოვლადძლიერი უსამართლობი-საგან. იობის 34:10

წმიდაა! წმიდაა! წმიდაა ცაბაოთ უფალი! მისი დიდებით სავსეა ქვეყნიერება. ესაია 6:3

ვის არ ეშინოდეს უფალო და არ ადიდებდეს შენს სახელს? რადგან მხოლოდ შენა ხარ წმიდა. გამოცხადება 15:4

რადგან ასე ამბობს მაღალი და აღზევებული, მარადმსუფევი და წმიდასახელიანი: მე ვსუფევ მაღალში და სიწმიდეში. ესაია 57:15

მართალია უფალი ყველა თავის გზაზე და მოწყალეა ყველა თავის საქმეში. ფსალმუნი 144:17

არავინაა კეთილი, გარდა ერთის, ღმერთის. მარკოზი 10:18

განადიდებენ შენს სახელს, დიდსა და საშიშს, წმიდაა იგი. ფს. 98:3

წმიდაა, წმიდაა, წმიდაა, უფალი ღმერთი, ყოვლისმპყრობელი, რომელიც იყო და რომელიც არის და რომელიც იქნება. გამოც.4:8

შენ გწამს, რომ ერთია ღმერთი? კარგს შვები კეთილი და პატიოსანი; ეშმაკებსაც სწამთ და ძრწიან კიდეც. გნებავს იცოდე ამაო კაცო, რომ რწმენა მკვდარია საქმეთა გარეშე? მაშ იყავი სიტყვის აღმსრულებელი და არა მხოლოდ სიტყვის მსმენელი, რომელნიც ატყუებენ საკუთარ თავს. იაკობი 2:19, 20; 1:22

ვინც ამბობს, რომ შეიცნო იგი, მაგრამ არ ინახავს მის მცნებებნს, ცრუა და ჭეშმარიტება არის მასში. ამით იცნობიან შვილნი ღმერთისა; ვინც არ იქმს და ვისაც არ უყვარს თავისი ძმა, არ არის ღმერთისაგან. 1 იოანე 2:4; 3:10

ბოროტეულთა კვალი სიბნელეა უფლის წინაშე, სიმართლის მიმდევარი კი უყვარს. იგავი 15:9

ეცადე მშვიდობა გქონდეთ ყველას მიმართ და სიმშვიდე, ურომლისოდაც ვერავინ იხილავს უფალს. ებრაელთა 12:14

არამედ როგორც წმიდაა თქვენი მხმობელნი, თქვენც წმიდანნი იყავით ყველა თქვენი მოქმედებისას. 1 პეტრე 1:15

ეძიეთ სიკეთე და არა ბოროტება, რათა ცოცხალი დარჩეთ; ცაბაოთ უფალიც თქვენთან იქნება, როგორც თქვენ ამბობთ.
ამოსი 5:14

რას ითხოვს შენგან უფალი? მხოლოდ სიმართლის ქმნას და წყალობის სიყვარულს, მოწიწებით სიარულს უფლის წინაშე.
მიქა 6:8

წმიდები იყავით, რადგან წმიდა ვარ მე, უფალი, ღმერთი თქვენი.
ლევიანი 19:2

გიყვარდეს უფალი, ღმერთი შენი მთელი შენი გულით და მთელი სულით და მთელი შენი გონებით; და მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი. ლუკა 10:27

იცი მცნებანი: არ იმრუშო; არა კაც კლა; არა იპარო; არა ცილი სწამო; არა შეურაცხყო; პატივი ეცი მამას შენსას და დედას.
მარკ. 10:19

და ნუ ემსგავსებით ამ ქვეყანას, არამედ გარდაიქმენით თქვენი გო-ნების განახლებით. რომ.12:2

ნუ გაქრება რჯულის ეს წიგნი შენს ბაგეებიდან, დღითა და ღამით ფიქრობდე მასზე, რომ ყველაფერი შეასრულო, რაც იქ წერია. რადგან მაშინ წარგემართება გზა და მაშინ გექნება წარმატება.
იესო ნავეს ძე 1:8

გქონდეთ ღმერთის რწმენა.
მარკოზი 11:23

აჰა, ექვსი რამ უფლის საძულველი და აჰა შვიდი სიბილწე მის თვალში: ამპარტავანი თვალები, ცრუ ენა, უბრალო სისხლის მღვრე-ლი ხელები, ავის მზრახველი გული, საბოროტოდ მარდი ფეხები, ტყუ-ილის აღმომსუნთქველი, ცრუ მოწმე და ძმათა შირის შუღლის მთესველი.

იგავი 6:16-19

რადგან მე, უფალს, მიყვარს სამართალი და მძულს ძალადობა და უკეთურება. ესაიას 61:8

ხოლო მხდალთა და ურწმუნოთა, ბილწთა და მკვლელთა, მეძავთა და მწვალებელთა, კერპთაყვანისმცე-მელთა და ყოველთა ცრუთა ხვედრი ტბაშია, ცეცხლითა და გოგირდით მოგიზგიზეში. ეს არის მეორე სიკვდილი.

გამოცხ. 21:8

თქვენც გაუფრთხილდით თქვენს სულს და ნუ უღალატებ სიყრმის ცოლს. რადგან მძულს გაყრა, ამბობს უფალი. მალაქიას 2:15, 16

ავი არ იზრახოთ ერთმანეთზე თქვენს გულში და ნუ გიყვართ ცრუ ფიცილი, რადგან მძულს ეს ყველაფერი, ამბობს უფალი.

ზაქარია 8:17

12 ადამიანებმა ვერ შეძლეს ღმერთის მცნებების შესრულება

არამედ გიცნობთ თქვენ: ღმერთის სიყვარული არ არის თქვენში. იოანეს 5:42

რადგან ვინც დაიმარხავს მთელრჯულს, და შესცოდავს მხოლოდ ერთ რამეში, ყველაფერში შემცოდეა. იაკობის 2:10

ვიფიქრე: ვაი მე, დავიღუპე, რადგან ბაგეუწმიდური კაცი ვარ და ბაგეუწმიდურ ხალხში ვცხოვრობ-მეთქი, ჩემმა თვალებმა კი მეუფე, ცაბაოთ უფალი იხილეს. ესაია 6:5

ამრიგად, ვისაც შეუძლია სიკეთის ქმნა, მაგრამ არა იქმს, ცოდვილია. იაკობის 4:17

როგორც დაწერილია: მართალი არ არის არავინ. რომაელთა 3:10

რაკიღა ყველამ სცოდა და მოაკლ-და დიდებას ღმერთისას. რომ.3:23

ვინც არ იქმს სიმსრთლეს, და ვისაც არ უყვარს თავისი ძმა არ არის ღმერთისაგან. 1 იოანეს 3: 10

ყველანი ცხვრებივით დავეხეტებოდით, თითოეული ჩვენ-ჩვენ გზას ვადექით. ესაია 53:6

ვინ დაუდგება უფალს, ამ წმიდა ღმერთს? 1 მეფეთა 6:20

ჩვენ არ შეგვიძლია ვაამოთ ღმერთს მხოლოდ ჩვენი საქმეებით 13

ვუმოწმებ მათ, რომ აქვთ საღმრთო შური, მაგრამ არა ცოდნით. ვინაიდან რაკი არ იცოდნენ ღმერთის სიმართლე და თავიანთი სიმართლის დამტკიცებას ცდილობდნენ, არ დაემორჩილეს სიმართლეს ღვთისას. რომაელთა 10:2, 3

ყველანი უწმიდურებივით შევიქენით და ყოველი ჩვენი სიქველე წარმავალი სამოსელივითაა; ფოთოლივით ვართ ყველანი დამჭკნარნი და ჩვენი ცოდვებისაგან, როგორც ქარისგან წაღებულნი.
ესაიას 64:6

როცა ვეუბნები მართალს, გადარ-ჩები მეთქი, ის კი თავისი სიმრთლის მოიმედე ბოროტებას ჩაიდენს, არც ერთი მისი სიმათლე არ იქნება გახსენებული და მოკვდება ბორო-ტებით, რომელიც ჩაიდინა. იეზეკიელის 33:13

ამიტომაც ხორცისამებრ მოარულნი ვერ ესათნოებიან ღმერთს.
რომაელთა 8:8

ვინაიდან რჯულის საქმით ვერცერთი ხორციელი ვერ გადარჩება მის წინაშე. რომაელთა 3:20

არა იმიტომ, თითქოს ჩვენდა თავად შემძლენი ვიყოთ გავიზიაროთ რამე, როგორც ჩვენმიერი არამედ, როგორც ჩვენი შემძლე ღმერთისაგან არის. 2 კორ. 3:5

ვინაიდან როგორც ერთი კაცის მიერ შემოვიდა ცოდვა ამ ქვეყნად, და ცოდვის მიერ სიკვდილი, ისე სიკვდილიც გადავიდა ყველა კაცში მის მიერ, ვისთვისაც ყველამ სცოდა. რომაელთა 5:12

ხოლო შემდეგ გულისთქმა ჩასახავს და შობს ცოდვას; ცოდვა კი, ჩადენის შემდეგ, შობს სიკვდილს. იაკ.1:15

ცოდვილი სული უნდა მოკვდეს. იეზეკიელის 18:20

მხოლოდ თქვენი უკეთურებანი იყო გამყოფი თქვენსა და თქვვენს ღმერთს შორის და თქვენმა ცოდვებმა დაფარეს მისი სახე თქვენგან და აღარ ესმოდა მას. ესაიას 59:2

სიმართლეს სიცოცხლისაკენ მიჰყავს კაცი, ბოროტების ამყოლი კი თავისი სიკვდილისაკენ მიემართება. იგავის 11:19

ასე ამბობს ღმერთი: რატომ არღვევთ უფლის მცნებებს? ამიტომ ხელი აღარ მოგემართებათ. რაკი მიატოვე უფალი, ისიც გტოვებთ თქვენ. 2 ნეშტთა 24:20

რადგან ერთი ცოდვაა ჯადოქრობა და ურჩობა, ერთი ცოდვაა კერპთაყვანისმცემლობა და სიჯიუტე. რაკიღა მოიძულე უფლის სიტყვა ისიც მოიძულებს შენს მეფობას. 1 მეფეთა 15:23

ღმერთი მართალი მსაჯულია
და ღმერთი რისხვის მფრქვეველი
ყოველდღე. ფსალმუნის 7:12

სულგრძელია უფალი და დიდ-
ძალოვანი, დაუსჯელს არავის
გაუშვებს ნაუმის 1:3

რომელთა გამოც მოიწევვა
რისხვა ღმერთის ურჩობის ძეთა
თავზე. კოლასელთა 3:6

რადგან რისხვა ღმერთისა ცხად-
დება ყოველგვარი უღმერთოებისა
და უსამართლობის მოქმედ კაცთა
მიმართ, რომელნიც უმართლო-
ბით ახშობენ ჭეშმარიტე-ბას.
რომაელთა 1:18

ასე რომ აღვსილნი არიან ყოველ-
გვარი უსამართლობით: სიძვით,
უკუღმართობით, ანგარებით,
ბორო-ტებით; სავსენი შურით,
მკვლე-ლობით, შუღლით, ზაკვით,
ბოროტი ჩვევით, ავსიტყვიანი,
ცილისმწა-მებელნი, ღვთის
მოძულენი, ქედმა-ღალნი, ცუდმე-
დიდნი, ბოროტების წყარონი,
დედ-მამის ურჩნი, უგული-სხმონი,
უნდონი, უყვარულნი, უწყა-ლონი,
რომელთაც იციან ღმერთის
სამართალი, რომ ამნაირ საქმეთა
ჩამდენნი სიკვდილის ღირსნი
არიან, მაგრამ არა მარტო
თვითონ სჩადიან, არამედ ჩამდენ-
თაც თანაუგრძნობენ.
რომაელთა 1:29-32

და როგორც კაცთ ერთხელ უწე-რიათ სიკვდილი და შემდეგ სამს-ჯავრო. ებრაელთა 9:27

და ვიხილე მკვდარნი, მცირენი თუ დიდნი რომელნიც იდგნენ ტახ-ტის წინაშე; და გადაშლილი იყო წიგნები; და გადაშლილი იყო სხვა წიგნი, რომელიც არის სიცოცხ-ლისა; და თანახმად წიგ-ნებში დაწე-რილისა, საქმეთა მათ-თაებრ განი-საჯენ მკვდარნი. და ვინც სიცოც-ხლის წიგნში არ იყო ჩაწერილი, ჩავარდა ცეცხლის გეენაში. გამოცხადების 20:12, 15

საშინელია ჩავარდნა ცოცხალი ღმერთის ხელში. ებრაელთა 10:31

ხოლო მე გეუბნებით თქვენ: ყოვე-ლი ფუჭი სიტყვისათვის, რომელსაც იტყვიან კაცნი, პასუხს აგებენ ისინი განკითხვის დღეს. მათეს 20:36

რადგან ყველა საქმეს სამს-ჯავროზე მიიტანს ღმერთი, ყოვე-ლივე დაფარულს თუ ბოროტს. ეკლესიასტე 12:1

ასე იქნება ქვეყნის დასასრულს: მოვლენ ანგელოზები და მარ-თალთაგან განაშორებენ უკე-თურთ და ჩაყრიან სახმილის ცე-ცხლში, და იქნება იქ ტირილი და კბილთა ღრჭენა. მათეს 13:49, 50

განსჯის სამყაროს სიმართლით და ხალხებს — თავისი ჭეშმარი-ტებით. ფსალმუნის 95:13

ყველგან უფლის თვალებია, ხედავენ უკეთრებს და კეთილებს.
იგავი 15: 3

უფალო გამომცადე და შემიცანი. შენთვის ცნობილია, როდის ვჯდები და ვდგები; გაგებული გაქვს ჩემი ზრახვანი შორიდან. ჩემი სიარული და ჩემი წოლა განსაზღვრე შენ და ყველა ჩემი გზა გამოიკვლიე. თუნდაც ჯერ არ იყოს სიტყვა ჩემს ენაზე, შენ უკვე იცი, უფალო, სრულიად. ფს. 138:1-4

რადგან ისე არ არის, როგორც კაცი ხედავს. რადგან კაცი მხოლოდ იმას ხედავს, რაც თვალში ხვდება, ხოლო უფალი გულს ხედავს. 1 მეფეთა 16:7

დამნერგავი ყურისა განა ვერ მოისმენს? თუ თვალის შემქმნელი ვერ დაინახავს? ფსალმუნი 93:9

რადგან თვალი მიჭირავს ყველა მათ გზაზე, ვერ დამემალებიან და არც მათი დანაშაული დაიფარება ჩემს თვალთაგან. იერემია 16:17

და არ არის ქმნილება, დაფარული რომ იყოს მისთვის, არამედ ყოველივე გაშიშვლებულია და გამოაშკარა-ვებულია მის თვალთა წინაშე, ვისადმიც მიმართულია ჩვენი სიტყვა. ებრაელთა 4:13

განა არ ხედავს ის ჩემს გზებს და არ ითვლის ყოველ ჩემს ნაბიჯს? იობი 31:4

ააშკარავებს ღრმასა და დაფარულს; იცის, რა იმალება ბნელში და ნათელი მასშია დავანებული.
დანიელი 2:22

18 აუცილებელია ცოდვისაგან შემობრუნება

განა მსურს ბოროტეულის სიკვდილი, ამბობს უფალი ღმერთი, არამედ რომ მოიქცეს თავისი გზე-ბიდან და იცოცხლოს.
ეზეკიელი 18:23

არა, გეუბნებით თქვენ: მაგრამ თუ არ მოინანიებთ, ყველანი მათსავით დაიღუპებით. ლუკა 13:3

ვინც თავის ცოდვებს მალავს, ხელი არ მოემართება, ხოლო ვინც მათ აღიარებს და მიატოვებს, შეწყალებული იქნება.
იგავი 28:13

ახლაც ამბობს უფალი: მოიქცეს ჩემსკენ მთელი გულით, მარხვით და მოთქმა-გოდებით. გულები დაიგლიჯეთ და არა სამოსელი, დაუბრუნდით უფალს, თქვენს ღმერთს; მოწყალე და შემბრალებელია იგი, სულგრძელი და მრავალმადლიანი. იოველი 2:12-13

მოიქეცი ისრაელ, უფლისაკენ, შენი ღვთისკენ, რადგან წაფორხილდი შენს უკეთურებაზე.
ოსია 14:2

ის იმღერებს კაცთა წინაშე და ეტყვის: ვცოდე მე, სწორი გავამრუდე, მაგრამ არ მომაგო საკადრისი. იხსნა ჩემი სული საფლავში ჩასვლისაგან და აჰა, ჩემი სიცოცხლე ნათლის ჭვრეტაშია. იობი 33:27-28

ეძებეთ უფალი როცა შეიძლება მისი პოვნა; მოუხმეთ მას როცა ახ-ლოს არის იგი. მიატოვოს ბო-რო-ტეულმა თავისი გზა და ცოდ-ვილმა კაცმა – თავისი ზრახვები; მიაქციოს უფლისკენ და ის შეი-წყალებს მას, და ჩვენი ღმერ-თისკენ, რადგან მრა-ვალგზის მიმტევებელია. ესაია 55:6-7

ახლოა უფალი გულმოდრეკი-ლებთან და სულით მორჩილებს იხსნის. ფსალმუნი 33:19

იქნებ მიატოვონ თავიანთი ბო-რო-ტი გზა და ვაპატიო თავიანთი დანა-შაული და შეცდომა. იერ.36:3

ცოდვა ჩემი გაუწყე და ბრალი ჩემი არ დამიმალავს. ვთქვი: ვაღი-არებ ჩემს ცოდვებს უფლის წინა-შე, და შენ მომიტევე დანაშაული ჩემი ცოდვისა. ფსალმუნი 31:5

თუ ვაღიარებთ ჩვენს ცოდვებს, მაშინ ის, ერთგული და მართალი მოგვიტევებს ცოდვებს და გაგვწ-მედს ყოველგვარი უკეთურებისა-გან. 1 იოანე 1:9

მაშ მოინანიეთ და მოიქეცით, რათა წარიხოცოს თქვენი ცოდვე-ბი. საქმეები 3:19

მაშ შეინანიე ეგ შენი უკეთურე-ბა, და ევედრე ღმერთს, ეგება მო-გიტევოს შენი გულისთქმა. საქმეები 8:22

მონანიება ნიშნავს ცოდვის მიტო-ვებას, და მის ღმერთის წინაშე აღიარებას.

20 ღმერთთან შერიგებისათვის საჭიროა მსხვერპლი

(ცოდვაღმერთისგან გვაშორებს გვ.14)

აადოს ხელი აღსავლენს და მიეცემა წყალობა, რომ შეენდოს ცოდვა. რადგან სისხლშია ხორციელის სული. მე დაგიწესეთ ეს სამსხვერპლოსთვის თქვენი სულის შესანდობად.

ლევიტელთა 1:4; 17:11

და თითქმის ყველაფერი რჯულისამებრ განიწმიდება სისხლით, და სისხლის დათხევის გარეშე არ არსებობს მიტევება.

ებრაელთა 9:22

საღი, მამალი, ერთწლიანი უნდა იყოს კრავი...სისხლი ჰქონდეთ ნიშნად სახლებზე, სადაც ცხოვრობთ. დავინახავ სისხლს და გვერდს აგივლით, არ მოგეკარებათ დამღუპველი სენი.

გამოსვლა 12:5, 13

უთხრა ისააკმა: ცეცხლი და შეშა მოგვაქვს, აღსავლენი კრავი სადღა არის? უთხრა აბრაამმა: ღმერთი გამოაჩენს თავისთვის აღსავლენ კრავს. გაიხედა აბრაამმა და ხედავს აჰა, ერთი ვერძი რქებით გახლართულა ბუჩქებში. მივიდა აბრაამი აიყვანა ვერძი და შესწირა აღსავლენ მსხვერპლად შვილის ნაცვლად.

დაბადება 22:7, 8, 13

იესო არის ღვთისგან მოვლენილი კრავი 21

მეორე დღეს იხილა მისკენ მომა-ვალი იესო და თქვა: “აჰა, ღვთის კრავი, რომელიც იღებს წუთისო-ფლის ცოდვებს”.

იოანე 1:29

უფალმა კი მას შეჰყარა ყოველი ჩვენგანის უკეთურება. ევნო და ეწამა, მაგრამ არ დაუძრავს ბაგე; კრავივით დასაკლავად მიიყვანეს და როგორც ცხვარი დუმს მპარსველთა წინაშე, მასაც არ დაუძრავს ბაგე. ესაია 53:6, 7

არა ვაცთა და ზვარაკთა სისხლით, არამედ საკუთარი სისხლით შევიდა ერთხელ წმიდაში და მოგვიპოვა საუკუნო გამოსყიდვა. ასევე ქრისტეც, რომელმაც ერთხელ შესწირა თავი, რათა აღეხოცა მრა-ვალთა ცოდვა. ებრაელთა 9:12, 28

რაკი იცით, რომ არა ხრწნადი ვერცხლით და ოქროთი იქენით გამოსყიდულნი, არამედ ქრისტეს ძვირფასი სისხლით, როგორც უბიწო და უმანკო კრავისა.

1 პეტრე 1:18, 19

მით უმეტეს სისხლი ქრისტესი, რომელმაც საუკუნო სულით შესწირა ღმერთს თავისი უბიწო თავი, განწმედს ჩვენს სინდისს მკვდარი საქმეებისაგან ცოცხალი ღვთის სამსახურისათვის.

ებრაელთა 9:14

22 გამოსყიდვა მხოლოდ ღმერთის აღთქმების მეშვეობით

და უსასყიდლოდ მართლდებიან მისი მადლით ქრისტე იესოში გამოსყიდვით, რომელიც წინდაწინ და-აყენა ღმერთმა შენდობის მსხვერ-პლად რწმენის მეშვეობით. რომაელთა 3:24, 25

მაგრამ ღმერთი თავის სიყვარულს ჩვენდამი ამტკიცებს იმით, რომ ქრისტე მოკვდა ჩვენთვის, როცა ჯერ კიდევ ცოდვილნი ვიყავით. რომაელთა 5:8

მაგრამ რაკი შევიტყვეთ, რომ ადამიანი გამართლდება არა რჯულის საქმეებით, არამედ იესო ქრისტეში რწმენით, ჩვენც ვირწმუნეთ იესო ქრისტე. გალატელთა 2:16

ვინაიდან მადლით ხართ გადარჩენილები, რწმენის მეშვეობით, და ეს თქვენგან კი არ არის, არამედ ღვთის ნიჭია. არა საქმეთაგან, რათა არავინ დაიკვეხნოს. ეფესელთა 2:8-9

მასზე ყველა წინასწარმეტყველი ამოწმებს, რომ ყოველი მისი მორწმუნე მისი სახელით მიიღებს ცოდვების მიტევებას. საქმეები 10:43

სხვაში არავისში არ არსებობს ხსნა, არც არის ცის ქვეშ ხალხისათვის მოცემული სხვა სახელი, რომლითაც გადავრჩებით. საქმეები 4:12

წარმოიგზავნა ღვთისაგან გაბრიელი ანგელოზი გალილეის ქალაქს, რომლის სახელია ნაზარეთი, ქალწულ-თან, რომელიც დანიშული იყო კაცზე, სახელად იოსებზე, დავითის სახლი-საგან, ხოლო ქალწულის სახელი იყო მარიამი. შევიდა მასთან და უთხრა: "გიხაროდეს, მომადლებულო, შენთანაა უფლი. კურთხეულ ხარ დედათა შორის". ის კი შეაძრწუნა ამ ნათქვამმა და ჩაფიქრდა: "რას უნდა ნიშნავდეს ეს მისალმება?" უთხრა მას ანგელოზმა: "ნუ გეშინია, მარიამ, ვინაიდან მადლი ჰპოვე ღმერთთან. აჰა, დაორსულდები და შობ ძეს და სახელად იესოს დაარ-ქმევ. დიდი იქნება ის და უზენაესის ძედ იწოდება. მისცემს მას უფალი ღმერთი მისი მამის, დავითის ტახტს. და უკუნისამდე იმეფებს იაკობის სახლზე და მის მეფობას არ ექნება დასასრული". უთხრა მარიამმა ანგე-ლოზს: "როგორ იქნება ეს, როცა მე მამაკაცი არ ვიცი?" ანგელოზმა მიუგო პასუხად: "სულიწმიდა გადმოვა შენზე და უზენაესის ძალა მოგიჩრდილავს, ამიტომ წმიდა შობილიც იწოდება ღვთის ძედ, ვინაიდან ღმერთთან არავითარი სიტყვა არ დარჩება შეუძლებელი." მაშინ მარიამმა თქვა: "აჰა, მხევალი ვარ უფლისა. მეყოს შენი სიტყვისამებრ". და განეშორა მას ანგელოზი. ლუკა 1:26-38

ქვეყნიერებაზე მხოლოდ ორი პირვოვნება მოევლინა ისეთი, რომელნიც არ ჩასახულან მამაკაცისაგან, – ადამი და ქრისტე. ადამმა მოიტანა ქვეყნიერებაზე ცოდვა, ხოლო იესომ – გამარჯვება ცოდვაზე.

ის, თუმცა ღვთის ხატება იყო, მიტაცებად არ თვლიდა ღვთის თანასწორად ყოფნას. დაიმდაბლა თავი და მორჩილი გახდა თვით სიკვდი-ლამდე, ჯვარცმით სიკ-ვდილამდე. ფილიპელთა 2:6, 8

მე და მამა ერთი ვართ. მას, რომელიც მამამ განწმიდა და მოავლინა წუთისოფელში, ეუბნებით: ღმერთს გმობო, რაკი ვთქვი: ღვთის ძე ვარ მეთქი?

იოანე 10:30, 36

იესო ქრისტე – ეს მარადიული სიტყვაა, რომელსაც საწყისი არ გააჩნია. ღვთის სასწაულებრივი ჩარევით, ის მარიამში ჩაისახა. ფიზიკურ სამყაროში ის ცნობილი იყო, როგორც ძე კაცისა, ხოლო სუ-ლიერში, – როგორც ძე ღვთისა. წმიდა წერილებში გამოყენებუ-ლია სიტყვა "ძე", რომელიც განმარტავს ღმერთისა და მისი სიტყვის – იესო ქრისტეს შორის არსებულ ურთიერთობას.

ამიტომ ქრისტე წუთისოფლეში მოსვლისას ამბობს: "...მაგრამ სხე-ული განმიმზადე მე". ებრ. 10:5

განწესებულზე ღვთის ძედ ძალაში სიწმიდის სულით, მკვ-დრე-თით აღდგომისათვის, ჩვენს უფალ იესო ქრისტეზე. რომ. 1:4

მიუგო თომამ და უთხრა მას: "უფალო ჩემო და ღმერთო ჩემო."

იოანე 20:28

უცილობლად დიდია ღვთისმო-სა-ობის საიდუმლო: ღმერთი გა-მოჩნდა ხორცში...” ტიმოთე 3:16

ვინაიდან მასში დამკვიდრებუ-ლია ხორციელად ღვთაების მთე-ლი სისავსე. კოლასელთა 2:9

რადგან შეგვეძინა შვილი, მოგვე-ცა ძე, და უფლობა იყო მის ბე-ჭებზე, ეწოდა სახელად საკვირვე-ლი მრჩე-ველი, ღმერთი ძლიერი, მარადისო-ბის მამა, მშვიდობის მთავარი. ესაია 9:5

უთხრა მათ იესომ: “...სანამ აბრა-ამი იქნებოდა, მე ვარ.” იოანე 8:58

მასში იყო სიცოცხლე და სი-ცოც-ხლე იყო ადამიანთა ნათე-ლი. იყო ნათელი ჭეშმარიტი, რომელიც გა-უნათებს წუთი-სოფლად მომსვლელ ყოველ ადამიანს. იყო წუთისოფე-ლში და წუთისოფელი მის მიერ შეიქმნა და წუთისოფელმა ვერ იცნო იგი. იოანე 1:4, 9-10

ვინაიდან ერთია ღმერთი და ერთია ღმერთისა და კაცთა შორის შუამავალი – კაცი ქრისტე იესო, რომელმაც თავი გასწირა ყველას გამოსახსნელად. 1 ტიმოთე 2:5, 6

რომელშიც გვაქვს მისი სი-სხლით გამოსყიდვა და ცოდვების მიტევება, ვინც არის უხილავი ღვთის ხატება. კოლასელთა 1:14-15

26 ბიბლია (წმიდა წერილი) არის ღვთის სიტყვა

ვინადიან წინასწარმეტყველება არასოდეს არ წარმოთქმულა ადამი-ანის ნებით, არამედ ადამი-ანები, სულიწმიდის მიერ აღ-ძრულნი, ღვთისაგან წარმოთ-ქვამდნენ მას. 2 პეტრე 1:21

როგორც უცხადებდა დასაბამი-დან თავის წმიდა წინასწარმეტყვ-ელ-თა პირით. ლუკა 1:70

რადგან ყოველივე, რაც წინათ დაიწერა, ჩვენს სასწავლებლად დაიწერა, რათა მოთმინებით და წერილთა ნუგეშით გვქონდეს იმედი. რომაელთა 15:4

უფლის სიტყვა მეტყველებს ჩე-მით და ენაზე მაქვს მისი სიტყვა. 2 მეფეთა 23:2

გულში გქონდეს ეს სიტყვები, რომლებიც დღეს გამოგიცხადე. 2 რჯული 6:6

მთელი წერილი ღვთივსული-ერია და სასარგებლოა სასწავ-ლებლად, სამხილებლად, გამო-სასწორებლად, დასარიგებლად სიმართლეში. 2 ტიმოთე 3:16

მიუგო იესომ მათ პასუხად: “ცდე-ბით, ვინაიდან არც წერ-ილები იცით და არც ღვთის ძალა. მათე 22:29

რადგან განადიდე შენს ყოველ სახელზე მეტად ნათქვამი შენი. ფსალმუნი 137:2

ემოსა სისხლში ამოვლებული სამოსელი. მისი სახელია: “ღვთის სიტყვა”. გამოცხადება 19: 13.

თავდაპირველად იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან, და სიტყვა იყო ღმერთი. სიტყვა იქცა ხორცად და დამკვიდრდა ჩვენს შორის. იოანე 1:1, 14

იესო – ეს არის ღვთაების პიროვნული ნაწილი

ღმერთი არასოდეს არავის უნახავს. ხოლოდშობილმა ძემ, მამის წიაღში მყოფმა, გააცხადა. იოანეს 1:18

ვინაიდან ღმერთმა, რომელმაც ბრძანა, გამობრწყინებულიყო ნათელი ბნელიდან, მანვე გაანათა ჩვენს გულებში, რათა გაგვინათოს ღვთის დიდების შემეცნებით იესო ქრისტეს სახეში. 2კორ. 4:6

ღმერთი გველაპარაკება იესოში

ღმერთი, ძველთაგან მრავალჯერ და მრავალი სახით ელაპარაკებოდა მამებს წინასწარმეტყველებში, ამ უკანასკნელ დღეებში გველაპარაკა ძეში, რომელიც დააყენა ყოვლის მემკვიდრეთ, ვისი მეშვეობითაც შექმნა საუკუნენი. ებრ. 1:1, 2

მე იმას ვლაპარაკობ, რაც მამაჩემთან ვნახე. იოანე 8:38

28 დაწერილი და ცოცხალი სიტყვის შედარება

ბიბლია – ეს არის სულის საზრდო

მისი ბაგეების მცნებათაგან არ გადამიხვევია; უბეში დავიუნჯე მისი პირის სიტყვები. იობის 23:12

დაწერილია რომ, არა პურითა ერთითა ცოცხლობს კაცი, არამედ ღვთის პირიდან მომდინარე ყოველი სიტყვით. მათეს 4:4

ბიბლია – ეს არის სინათლე ჩვენი ბილიკისათვის

ლამპარია ჩემი ფეხისათვის სიტყვა შენი და სინათლე– ჩემი ბილიკისათვის. ფსალმუნის 118:105

საწყისი შენი სიტყვებისა ანათებს, შთააგონებს გულუბრყვილოებს. ფსალმუნის 118:130

იესო – ეს არის პური ზეციდან მოცემული

მე ცოცხალი პური ვარ, ზეციდან ჩამოსული. ვინც ამ პურს შეჭამს, საუკუნოდ იცოცხლებს. პური რომელსაც გავცემ, ხორცია ჩემი, რომელსაც წუთისოფლის სიცოცხლისათვის გავცემ. მე ვარ პური სიცოცხლისა. იოანეს 6:51, 48

იესო– ქვეყნიერების ნათელია

მასში იყო სიცოცხლე და სიცოცხლე იყო ადამიანთა ნათელი. იესო კვლავ ეუბნებოდა და უთხრა: “მე ნათელი ვარ წუთისოფლისა, ვინც წამომყვება, ბნელში აღარ ივლის, არამედ სიცოცხლის ნათელი ექნება მას”. იოანეს 1:4; 8:12

ბიბლიას მივყავართ ნაყოფიერი ცხოვრებისაკენ

არამედ უფლის რჯულშია მისი მისწრაფება და მის რჯულზე ფიქრობს იგი დღედაღამ. და იქნება იგი წყლის ნაკადებთან დანერგილ ხესავით, თავის დროზე რომ იძლევა ნაყოფს, და არ დაჭკნება ფოთოლი მისი, და ყოველივეში, რასაც იქმს, წარმატებულია. ფსალმული 1:2-3

იესო გვაძლევს ნაყოფიერ ცხოვრებას როგორც ლერწი ვერ

მოისხამს ნაყოფს თავისით, თუ ვაზზე არ დარჩება, ისევე თქვენც, თუ ჩემში არ დარჩებით. მე ვარ ვაზი, თქვენ კი – ლერწები. ვინც ჩემში რჩება და მე მასში, იგი ბევრ ნაყოფს ისხამს, რადგან უჩემოდ არაფრის კეთება არ შეგიძლიათ.იოანე 15:4, 5

წერილები იესო ქრისტეს შესახებ გვიამბობენ

იკვლევთ წერილებს, რადგან გგონიათ, რომ მათში გაქვთ საუკუნო სიცოცხლე. ისინი კი ჩემს შესახებ მოწმობენ. იოანე 5:39

დაიწყო მოსედან და ყველა წინას-წარმეყველიდან და განუმარტავდა მათ ყოველ წერილში მის შესახებ ნათქვამს. ლუკა 24:27

30 ღმერთის სიტყვა მარადიულია და არასოდეს არ იცვლება

უკუნისამდე, უფალო, შენი სიტყვა დაფუძნებულია ზეცაში.
ფსალმუნი 118:89

საწყისი შენი სიტყვისა ჭეშმარიტებაა და საუკუნოა ყოველი მართა-ლი შენი სამართალნი.
ფს. 118:160

გახმება ბალახი, დაჭკნება ყვავილი, ჩვენი ღვთის სიტყვა დგას საუკუნოდ. ესაია 40:8

ვიდრე ცა და დედამიწა არ გადაივლის, არც ერთი იოტა ანდა არც ერთი წერტილი არ გადაივლის რჯულისა, ვიდრე ყოველივე არ აღსრულდება. მათე 5:18

წერილი არ ირღვევა. იოანე 10:35

დაე ნუ განიზრახავს ადამიანი ღმერთის სიტყვის შეცვლას. ეცადეთ, ყველაფერი შეასრულოთ, რა-საც გიცხადებთ; ნურაფერს დაუმა-ტებთ და ნურც მოაკლებთ.
2რჯული 12:32

ნურც მიუმატებ მის სიტყვებს, თორემ გამხილებ და მატყუარა გამოხვალ. იგავი 30:6

თუ ვინმე რამეს მოაკლებს ამ წინასწარმეტყველების წიგნის სიტყვებს, ღმერთი წაართმევს მას წილს სიცოცხლის ხიდან.
გამოცხადება 22:19

ვინც სიტვას არაფრად აგდებს, დაზარალდება. იგავი 13:13

იმიტომ ვუყვარვარ მამას, რომ ჩემს სიცოცხლეს ვწირავ, რათა კვლავ დავიბრუნო იგი. ვერავინ წამართმევს მას, მაგრამ მე თვით ვწირავ მას. მე მაქვს ხელმწიფება მის გასაწირავად, და მაქვს ხელ-მწიფება მის დასა-ბრუნებლად.
იოანე 10:17-18

მიუგო იესომ: "არავითარი ხელ-მწიფება არ გექნებოდა ჩემზე, მაღ-ლიდან რომ არ მოგცემოდა."
იოანე 19:11

იქნება გგონია, რომ არ შემეძლოს შევევედრო მამაჩემს, რომ ახლავე მომგვაროს ანგელოზთა თორმეტი ლეგიონი და უფრო მეტიც? აბა, როგორ აღსრულდება წერილი, ეს რომ არ მოხდეს? მათე 26:53-54

ხოლო ღმერთმა, როგორც წინდა-წინ გვამცნო ყველა თავისი წინა-სწარმეტყველის პირით, რომ ქრის-ტე უნდა წამებულიყო, ასევე აღს-რულდა კიდეც. საქმეები 3:18

იგი, ღვთის განჩინებული ზრახ-ვით და წინასწარხედვით გადმოცე-მული ურჯულოთა ხელით მია-ლურსმეთ და მოკალით. საქ. 2:23

უფალმა ინება მისი ტანჯვა და სნება შეჰყარა. როცა გასწირავ მის სიცოცხლეს ცოდვის გამოსასყიდ მსხვერპლად, იხილავს იგი თავის ნაგრამს, გაუხანგრძლივდება დღე-ები, უფლის ნება მისი ხელით წარიმართება. ესაია 53:10

32 იესოს სიკვდილი თვითმხილველებმა დაამოწმეს

მასთან ერთად ჯვარს აცვეს ორი ავაზაკი, ერთი მარჯვნივ და ერთი მის მარცხნივ. აღსრულდა წერილი, რომელშიც ნათქვამია: "ავაზაკთა შორის შეირაცხა." მარკ.15:27-28

ხოლო იესომ კვლავ შესძახა დიდი ხმით და სული განუტევა. და აჰა, ტაძრის კრეტსაბმელი გაიხა ორად ზემოდან ძირამდე, და შეიძრა დედამიწა, და კლდეები დასკდა. ხოლო ასისთავსა და მათ, ვინც მასთან ერთად დარაჯობდა იესოს, მიწისძვრა და ყოველივე მომხდარი რომ ნახეს, მეტისმეტად შეეშინდათ და თქვეს: "ეს ჭეშმარიტად ღვთის ძე იყო." მათე 27:50-51, 54

მოვიდნენ ჯარისკაცები და მასთან ერთად ჯვარცმულებს წვივები დაუმტვრიეს, ერთსაც და მეორესაც. იესოსთან მოსულებმა, როცა დაინახეს, რომ უკვე მომკვდა-რიყო, აღარ დაუმტვრიეს წვივები. მაგრამ ერთმა ჯარისკაცმა შუბით განუგმირა მას ფერდი და მყისვე გადმოსკდა სისხლი და წყალი. მხილველმა დაადასტურა ეს და მისი მოწმობა ჭეშმარიტია. მან იცის, რომ ჭეშმარიტებას ამბობს, რათა თქვენ ირწმუნოთ. რადგან ეს მოხდა, რათა აღსრულებული წერილი: "მისი ძვალი არ შეიმუსრება." ასევე სხვა წერილიც ამბობს: "შეხედავენ მას, რომელიც განგმირეს." იოანე 19:32-37

მაგრამ ღმერთმა მკვდრეთით აღადგინა იგი, შეხსნა სიკვდილის ბორკილები, ვინაიდან სიკვდილი მას ვერ დააკავებდა. ეს იესო აღადგინა ღმერთმა, რისი მოწმენიც ჩვენ ყველანი ვართ. საქმეები 2:24, 32

რაკი ბავშვები სისხლისა და ხორცის მოზიარენი არიან, თავადაც ეზირა მათ, რათა სიკვდილით გააქარწყლოს ის, ვისაც სიკვდილის ხელმწიფება აქვს, ესე იგი ეშმაკი, და გაანთავისუფლოს ისინი, ვინც სიკვდილის შიშით მთელი სიცოცხლე მონობაში იყო. ებრ.3:14-15

“სად არის სიკვდილო, შენი ნესტარი? სად არის ჯოჯოხეთო შენი ძლევა?” მაგრამ მადლობა ღმერთს, რომელიც გვაძლევს ძლე-ვას ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს მიერ.
1 კორინთელთა 15:55, 57

და ცოცხალი. მკვდარი ვიყავი და, აჰა, ცოცხალი ვარ უკუნითი უკუნისამდე. მიპყრია სიკვდილისა და ჯოჯოხეთის გასაღები. გამოცხ. 1:18

ახლა კი გამოჩნდა ჩვენი მხსნელი ქრისტე იესოს გამოცხადებით, რომე-ლმაც გააბათილა სიკვდილი და სა-ხარებით გაანათლა სიცოცხლე და უკვდავება.
2 ტიმოთე 1:10

რადგან ვიცით, რომ მკვდრეთით აღმდგარი ქრისტე აღარ კვდება და სიკვდილი აღარ უფლობს მასზე.
რომაელთა 6:9

აჰა ვდგავარ კართან და ვრეკ. თუ ვინმე მოისმენს ჩემს ხმას და გამიღებს კარს, შევალ მასთან. მე მასთან ვივახშმებ და ის – ჩემთან.

გამოცხადება 3:20

ოღონდ არა გამკეთებელს, არამედ რომელსაც სწამს იგი, ვინც ამართ-ლებს უკეთურს, თავისი რწმენა ჩაეთვლება სიმართლედ.

რომ. 4:5

მიიღეთ სულიწმიდა. ითხოვეთ და მიიღებთ, რათა თქვენი სიხარული სრულყოფილი იყოს.

იოანე 20:22; 16:24

იმიტომ რომ, თუ შენი ბაგით აღიარებ, რომ იესო უფალია, და შენი გულით ირწმუნებ, რომ ღმერთმა აღადგინა იგი მკვდრეთით, გადარჩები.

რომაელთა 10:9

ვისაც მამა ან დედა ჩემზე მეტად უყვარს, იგი არ არის ჩემი ღირსი. მაშინ თავის მოწაფეებს უთხრა იესომ: “ვისაც უნდა, რომ მომყვეს, უარყოს თავისი თავი, აიღოს თავისი ჯვარი და გამომყვეს, ვინაიდან ვისაც სურს თავის სულს გაუფ-რთხილდეს, ის დაკარგავს მას; ხოლო ვინც ჩემი გულისათვის დაკარ-გავს სულს, ის მოიპოვებს მას.

მათე 10:37; 16:24-25

და თუ ქრისტესნი ხართ, მაშ აბრაამის თესლი ხართ და აღთქმით მემკვიდრენი.

გალატელთა 3:29

ეს არის მოწმობა, რომ ღმერთმა მოგვანიჭა საუკუნო სიცოცხლე და ეს სიცოცხლე მის ძეშია. ვისაც ძე ჰყავს, აქვს საუკუნო სიცოცხლე. Vი-საც ძე ღვთისა არა ჰყავს, სიცოც-ხლე არა აქვს. 1 იოანე 5:11-12

მაგრამ წყალობით მდიდარმა ღმერთმა თავისი დიდი სიყვა-რულით, რომლითაც ჩვენ შეგვიყ-ვარა, ჩვენ, დანაშაულთა გამო მკვდრები გაგვაცოცხლა ქრისტეს-თან ერთად (მადლით ხართ დახსნილნი). ეფესელთა 2:4-5

მე უკვე აღარ ვცოცხლობ, არამედ ქრისტე ცოცხლობს ჩემში. ახლა რომ ხორციელად ვცოცხლობ, რწმენით ვცოცხლობ ღვთის ძეში.

გალატელთა 2:20

რადგან სიცოცხლის სულის რჯულმა ქრისტე იესოში გამანთავი-სუფლა მე ცოდვისა და სიკვდილის რჯულისაგან. რომაელთა 8:2

მაშასადამე, ის, ვინც ქრისტეშია, ის ახალი ქმნილებაა. ძველმა განვლო და ახლა ყოველივე ახალია.

2 კორ. 5:17

როგორც ხელახლადშობილნი, არა ხრწნადი თესლისაგან, არამედ უხრწნადისაგან, ღვთის ცოცხალი და მარად არსებული სიტყვის მიერ. როგორც ახალშობილმა ყრმებმა, ინატრეთ სულიერი სუფთა რძე, რათა იმით გაიზარდოთ ხსნისათვის.

1 პეტრე 1:23; 2:2

მამა ობლოთა და მსაჯულია ქვრივთა – ღმერთი მის წმიდა სადგომშია. ფსალმუნი 67:6

ახლა კი, უფალო, ჩვენი მამა ხარ, ჩვენი თიხა ვართ და შენ ჩვენი გამომსახველი. შენი ხელის ქმნილება ვართ ყველანი.
ესაია 64:7

შენ, უფალო, ხარ ჩვენი მამა. ჩვენი გამომსყიდველია შენი სახელი უკუნითიდან. ესაია 63:16

ჰოდა, თუ თქვენ ბოროტებმა, იცით კეთილ მისაცემელთა მიცემა თქვენი შვილებისათვის, მეტადრე თქვენი ზეციერი მამა მისცემს სიკეთეს იმას, ვინც სთხოვს. მათე 7:11

თქვენ კი ასე ილოცეთ: მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყოს სახელი შენი.
მათე 6:9

მე მიგიღებთ თქვენ. ვიქნები თქვენთვის მამა და თქვენს იქნებით ჩემთვის ძენი და ასულნი, ამბობს უფალი ყოვლისმპყრობელი. 2 კორინთელთა 6:17-18

რადგან ისინი, ვინც ღვთის სულით წარიმართებიან, ღვთის შვილები არიან. რომაელთა 8:14

იესოს მეშვეობით ჩვენ შევიცნობთ ღმერთს, როგორც ჩვენს მამას

უთხრა იესომ: “მე ვარ გზა, ჭეშმა-რიტება და სიცოცხლე. მამასთან ვერავინ მივა, თუ არა ჩემით. მე რომ მიცნობდეთ, მამაჩემიც გეცოდი-ნებოდათ. ამიერიდან იცნობთ მას და გიხილავთ იგი. ვისაც ვუყვარვარ, ის ჩემს სიტყვას დაიცავს და მამაჩემიც შეიყვარებს მას, ჩვენს მივალთ და მასთან დავიდებთ სავანეს.

იოანე 14:6-7, 23

მოავლინა ღმერთმა თავისი ძე,... რათა მიგვეღო შვილობა. და რაკიღა თქვენ შვილები ხართ, ღმერთმა მოავლინა თქვენს შვილებში თავისი ძის სული, რომელიც შესძახის: “აბბა, მამაო”. ამიტომ შენ უკვე აღარ ხარ მონა, არმედ ძე, ხოლო თუ ძე, მემკვიდრეც ხარ ღვთის მიერ. ვინაიდან თქვენ ყველანი ღვთის შვილები ხართ ქრისტე იესოში რწმენით.

გალატელთა 4:4-7; 3:26

ხოლო ვინც კი მიიღო იგი, და ირწმუნა მისი სახელი, მისცა მათ ხელმწიფება ღვთის შვილებად გახდომისა. იოანე 1:12

ხოლო თუ ვინმე შესცოდავს, გვყავს შუამდგმელი მამის წინაშე – მართალი იესო ქრისტე.

1 იოანე 2:1

38 იესოს მოაქვს სიყვარული, სიხარული და მშვიდობა

ვისაც არ უყვარს, მას არ შეუცვნია ღმერთი, ვინაიდან ღმერთი სიყვარულია. ღმერთი სიყვარულია, ხოლო სიყვარულში დარჩენილი ღმერთში რჩება, ხოლო ღმერთი – მასში. 1 იოანე 4:8, 16

მაგრამ იყავით კეთილნი ერთიმეორეს მიმართ, თანაუგრძნეთ და მიუტევეთ ერთმანეთს, როგორც ქრისტეში მოგიტევათ თქვენ ღმერთმა. ეფესელთა 4:32

ჩემი მოწაფეები რომ ხართ, იმით გაიგებენ ყველანი, თუ სიყვარული გექნებათ ურთიერთს შორის.

იოან.13:35

ხოლო სულის ნაყოფია: სიყვარული, სიხარული, მშვიდობა.

გალატელთა 5:22

მე მაინც უფალში გავიხარებდი, ჩემი ხსნის ღმერთში ვნახავდი შვებას. აბაკუმი 3:18

მასწავლე გზა ჭეშმარიტებისა, სისავსე შენი სახის წინაშე, ნეტარება შენი მარჯვენით უკუნისამდე.

ფსალმუნი 15:11

მაშასადამე რაკი რწმენით გავმართლდით, მშვიდობა გვაქვს ღმერთთან ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ. რომალეთა 5:1

მშვიდობას გიტოვებთ თქვენ, ჩემს მშვიდობას გაძლევთ თქვენ. წუთისოფელი რომ იძლევა, ისე კი არ გაძლევთ, ნუ შეკრთება თქვენი გული და ნურც შეშინდება.

იოანე 14:27

იესო აღადგენს ყველა ჭეშმარიტ თაყვანისმცემელს

ხოლო თუ თქვენში იმყოფება მისი სული, ვინც მკვდრეთით აღად-გინა იესო, მაშინ ის, ვინც ქრისტე იესო აღადგინა მკვდრე-თით, თქვენს მოკვდავ სხეულებსაც გააცოც-ხლებს თავისი სულით, რომელიც თქვენშია დამკვიდრე-ბული. რომაელთა 8:11

ხოლო ღმერთმა აღადგინა უფა-ლი და ჩვენც აღგვადგენს თავისი ძალით. 1 კორინთელთა 6:14

ჩემი მამის ნება ისაა, რომ ყვე-ლას, ვინც ძეს იხილავს და ირწ-მუნებს, საუკუნო სიცოცხლე ჰქონ-დეს, და მე აღვადგენ მას უკანასკნელ დღეს. იოანე 6:40

უთხრა მას იესომ: "მე ვარ ადგო-მა და სიცოცხლე, ჩემი მორწმუნე, კიდეც რომ მოკვდეს იცოცხლებს. ყველა, ვინც ცოცხლობს ჩემში და სწამს ჩემი, არ მოკვდება უკუ-ნისამდე". იოანე 11:25, 26

ვინაიდან, როგორც კაცის მიერ მოვიდა სიკვდილი, ასევე კაცის მიერ მკვდრეთით აღდგომა. ვინაი-დან, როგორც ადამში კვდება ყვე-ლა, ასევე გაცოცხლდებიან ქრის-ტეში. და თითოეული თავისი წე-სით: პირმშო – ქრისტე, ხოლო შემდეგ ქრისტეში, მისი მოსვლი-სას. 1 კორინთელთა 15:21-23

რადგან მე ცოცხალი ვარ და თქვენც იცოცხლებთ. იოანე 14:19

თუკი ვინმე, მოსეს რჯულის უარმყოფელი ორი ან სამი კაცის მოწმობით, შეუწყალებლად ისჯება სიკვდილით, როგორ ფიქრობთ, რაო-დენ უფრო მძიმე სასჯელს დაიმსა-ხურებს ის, ვინც გათელა ძე ღვთისა და წმიდად არ მიიჩნია ღვთის სისხ-ლი, რომლითაც განიწმიდა, და შეუ-რაცხყო სული მადლისა? ებრ.10:28-29

მას, ვინც მე უარმყოფს და არ მიიღებს ჩემს სიტყვებს ჰყავს მსაჯული. სიტყვა, რომელიც წარ-მოვთქვი, განსჯის მას უკანა-სკნელ დღეს. იოანე 12:48

ამიტომ გითხარით: თქვენს ცოდ-ვებში დაიხოცებით – მეთქი. რადგან, თუ არ იწამებთ, რომ მე ვარ, თქვენ-სავე ცოდვებში დაიხოცებით. იოანე 8:28

გეუბნებით თქვენ, ჩემო მეგობ-რებო, ნუ გეშინიათ მათი, ვინც სხეულსა ჰკლავს და ამის მეტის არაფრის გაკეთება არ შეუძლია. მაგრამ გაჩვენებთ, ვისი უნდა გეშინოდეთ. გეშინოდეთ მისი, ვისაც მოკვლის შემდეგ აქვს ხელმწიფება გეენაში ჩაგდებისა. აჰა, გეუბნებით, მისი გეშინოდეთ. ლუკა 12:4-5

მაშ, როგორ გადავრჩებით უგულებელმყოფელნი მისი დიადი ხსნისა. ებრაელთა 2:3

ვინაიდან მან დაადგინა დღე, როდესაც ქვეყნიერებას განიკითხავს სიმართლით წინასწარ არჩეული კაცის ხელით, ყველა დაარწმუნა რა იმით, რომ იგი მკვდრეთით აღადგინა.

საქმეები 17:31

რადგან მამა არავის არ სჯის, არამედ მთელი სამსჯავრო ძეს გადასცა, რათა ყველამ სცეს პატივი ძეს, როგორ მამას სცემენ პატივს. იოანე 5:22, 23

ვინაიდან ჩვენ ყველანი უნდა უნდა გამოვცხადდეთ ქრისტეს სამსჯავროს წინაშე, რათა თითოეულმა მიიღოს იმის მიხედვით, რასაც სხეულის სიცოცხლის დროს აკეთებდა, – კეთილს თუ ბოროტს. 2 კორინთელთა 5:10

იმ დღეს, როცა...ღმერთი განიკითხავს ადამიანთა დაფარულ ფიქრებს იესო ქრისტეთი.

რომაელთა 2:16

როდესაც უფალი იესო გამოცხადდება ციდან, თავისი ძალით ანგელოზებითურთ, რომელიც ცეცხლის ალით იძიებს შურს მათ-ზე, ვინც არ შეიცნო ღმერთი და არ ემორჩილება უფალ იესოს სახა-რებას. 2 კორინთელთა 1:7, 8

ხოლო ჩემი მტრები, რომლებსაც არ სურდათ, რომ მათზე მეფეობა, მომგვარეთ აქ და დახოცეთ ჩემს წინაშე. ლუკა 19:27

ყველა როდი ეკუთნის იესოს, ვინც მის მიმდევრად თვლის თავს

ისინი სიტყვით აღიარებენ ღმერთს, საქმით კი უარყოფენ.
ტიტე 1:16

ხოლო ვისაც ქრისტეს სული არა აქვს, ის მისი არ არის.
რომაელთა 8:9

ჯდება შენს წინაშე ეს ჩემი ხალხი და ისმენს შენს სიტყვებს, მაგრამ არ ასრულებს მათ.
ეზეკიელი 33:31

ეს ხალხი პატივს მცემს ბაგეებით, მათი გული კი შორს არის ჩემგან. მათე 15:8

ვინც მეუბნება: "უფალო, უფალო!" ყველა როდი შევა ცათა სასუფეველში, არამედ ის, ვინც შეასრულებს ჩემი ზეციერი მამის ნება-სურვილს. ბევრი მეტ-ყვით იმ დღეს: "უფალო, უფალო! განა შენი სახელით არ ვწინასწარმეტყველებდით? განა შენი სახელით არ ვდევნიდით ეშმაკებს და განა შენი სახელით არ ვახდენდითო მრავალ სასწ-ულს?" მაშინ მე განვუცხადებ მათ: "მე არასოდეს არ გიცნობდით თქვენ, გამშორდით, მოქმედნო ურჯულოებისა. მათე 7:21-23

იესოს ჯეშმარიტი მიმდევრები ემორჩილებიან მას

იმით გავიგებთ, რომ შევიცანით იგი, თუ დავიცავთ მის მცნებებს.
1 იოანე 2:3

ჩემს სულს ჩაგიდგამთ შიგნით და ისეთებს გაგხდით, რომ ჩემს წესებზე იაროთ და ჩემი სამართალი აღასრულოთ. ეზეკიელი 36:27

და იგი სრულქმნილი, მარადიული ხსნის მიზეზი შეიქმნა ყველა მისი მორჩილისათვის. ებრაელთა 5:9

განთავისუფლდით რა ცოვებისაგან, სიმართლის მონები გახდით.
რომაელთა 6:18

ვინაიდან მისი ქმნილებანი ვართ, ქრისტე იესოში შექმნილნი კეთილი საქმეებისათვის, რომლებიც წინასწარ დაგვიმზადა ღმერთმა, რათა ამ საქმეებით ვიაროთ. ეფესელთა 2:10

და თუ ქრისტე თქვენშია, სხეული მკვდარია ცოდვისათვის, ხოლო სული ცოცხალია სიმართლისათვის. ვინაიდან, თუ ხორციელად ვცხოვრობთ, სიკვდილი არ აგცდებათ, ხოლო თუ სულით აკვდინებთ ხორციელ საქმეებს, იცოცხლებთ.
რომაელთა 8:10, 13

განუდგეს უსამართლობას ყველა, ვინც აღიარებს უფლის სახელს.
2 ტიმოთე 2:19

გადადის წუთისოფელი და მისი გულისთქმაც, ღვთის ნების აღმსრულებელი კი რჩება უკუნისამდე.
2 ტიმოთე 2:17

44 ქვეყნიერებას სძულს იესოს მიმდევრები

თუ თქვენ ქვეყნიერებას სძულ-ხათ, იცოდეთ, რომ თქვენზე უწინ მე შემიძულეს. თქვენ რომ წუთისო-ფლისანი ყოფილიყავით, წუთისო-ფელს ეყვარებოდა თავისიანები. და რაკი არა ხართ წუთისოფლისა-ნი, არამედ მე გამოგარჩიეთ წუთი-სო-ფლიდან, ამიტომ სძულხართ წუთი-სოფელს. იოანე 15:18-19

მაგრამ მოდის ჟამი, როცა თქვენს ყველა მკვლელს ეგონება, რომ ამით ღმერთს ემსახურება. ასე მოგექ-ცევიან, რადგან არ იცნეს არც მამა, არც მე. იოანე 16:2, 3

ნახეთ, როგორი სიყვარული მოგვ-ცა მამამ, რათა გვეწოდოს და ვიყოთ ღვთის შვილნი. წუთისო-ფელი იმი-ტომ არ გვიცნობს ჩვენ, რომ არ შეიცნო იგი. 1 იოანე 3:1

ვინაიდან მრავალი ჭირით გვმარ-თებსო ღვთის სასუფეველში შეს-ვლა. საქმეები 14:22

და ყველა, ივისაც სურს ქრისტე იესოში იცხოვროს ღვთისმოსაო-ბით, დევნილი იქნება.
2 ტიმოთე 3:12

რომ მშვიდობა გქონდეთ შემში. წუთისოფელში ჭირი გექნებათ, მაგრამ გამაგრდით. მე ვძლიე წუთისოფელს. იოანე 16:33

მე მათ მივეცი სიტყვა და წუთი-სოფელმა შეიძულა ისინი, რადგან არ არიან წუთისოფლისანი, რო-გორც მე არა ვარ წუთისოფლისა.
იოანე 17:14

თქვენი ყველა საზრუნავი მას მიანდეთ, რადგან ის ზრუნავს თქვენზე. 1 პეტრე 5:7

ნუ გეშინია, რადგან შენთანა ვარ მე; ნუ დაფრთხები, რადგან შენი ღმერთი ვარ მე; გაგამხნევებ და შეგეწევი ჩემი მხსნელი მარჯვენით მეთქი. ესაია 41:10

რადგან დამაგდო ჩემმა დედ-მამამ, ხოლო უფალი მიმიღებს მე. ფსალმუნი 26:10

ამიტომ გამხვენებულნი ვამბობთ: "უფალი ჩემი შემწეა, არ მეშინია; რას მიზამს მე კაცი?" ებრ. 13:6

თუ გაგლაძღავენ ქრისტეს სახელისათვის, ნეტარნი ხართ, რადგან სული დიდებისა, სული ღვთისა თქვენზე ივანებს. 1პეტრე 4:14

რადგან თავის ანგელოზებს უბრ-ძანა შენზე – დაგიცვან ყველა შენს გზაზე. შავეთის ველზეც რომ ვია-რო, ბოროტებისა არ მეშინია, რად-გან შენა ხარ ჩემთან; მანუგე-შებენ შენი კვერთხი და შენი საყრ-დენი. ფსალმუნი 90:11; 22:4

ყოველივე ძალმიძს ჩემს გამა-ძლი-ერებელში, ქრისტეში. ხოლო ჩემი ღმერთი აღავსებს თქვენს ყო-ველ საჭიროებას თავისი სიუხვისა-მებრ, დიდებით ქრისტე იესოში. ფილიპელთა 4:13, 19

46 გამარჯვება სატანაზე და ცოდვაზე

არ შეგმთხვევიათ განსაცდელი, გარდა ადამიანურისა. და სარწმუნოა ღმერთი, რომელიც არ დაუშვებს, რომ თქვენს შესაძლებლობაზე მეტად გამოიცადოთ, არამედ განსაც-დელში გამოსავალსაც მოგცემთ, რომ შეძლოთ გადატანა. 1კორინთელთა 10:13

აბა, თამამად მივეახლოთ მადლის ტახტს, რომ მივიღოთ წყალობა და ვპოვოთ მადლი დროული შემწე-ობისათვის.
ებრაელთა 4:16

ხოლო ნათელში დავდივართ, როგორც ის არის ნათელში, მაშინ მოზიარეობა გვაქვს ერთმანეთთან და მისი ძის, იესო ქრისტეს სისხლი გვწმენდს ყოველ-გვარი ცოდვისაგან. 1 იოანეს 1:7

ყმაწყვილკაცურ გულისთქმებს გაექეცი. მისდიე სიმართლეს, რწმენას, სიყვარულს, მშვიდობას ყველასთან, ვინც სუფთა გულით მოუხმობს უფალს. 2 ტიმოთე 2:22

ამიტომ დაემორჩილეთ ღმერთს, წინაღუდექით ეშმაკს და გაიქცევა თქვენგან. იაკობი 4:7

გულში ჩავიმარხე შენი სიტყვები, რათა არ შევცოდო.
ფსალმუნი 118:11

შენგან ამბობს ჩემი გული: მოძებ-ნეთ ჩემი სახე. შენს სახეს მოვძებნი, უფალო. ფსალმუნი 26:8

მიენდეთ მას ყოველ ჟამს, ხალხნო, თქვენი გული გადმოღ-ვარეთ მის წინაშე; ღმერთია ჩვენი თავშესაფარი. ფსალმუნი 61:9

ილოცეთ განუწყვეტლივ. მადლი-ერნი იყავით ყველაფრისათვის, ვინაიდან ეს არის თქვენს მიმართ ღვთის ნება ქრისტე იესოში.
1 თესალონიკელთა 5:17-18

თუ რომელიმე თქვენგანს აკლია სიბრძნე, სთხოვოს ღმერთს, ყვე-ლა-სათვის უხვად და დაუყვე-დრებლად გამცემს, და მიეცემა.
იაკობი 1:5

თუ ჩემში დარჩებით და ჩემი სიტყვები თქვენში დარჩება, რასაც ისურვებთ, ითხოვეთ და გექნე-ბათ. იოანე 15:7

მე მოვიძიე უფალი და მიპასუხა და გამომიხსნა ყველა ჩემი განსაც-დელისაგან.
ფსალმუნი 33:5

სიმრუდე რომ შემემჩნია ჩემს გულში, არ მოისმენდა უფალი. შენი სახელისათვის, უფალო, შემინდე ყველა ჩემი შეცოდება, რადგან დიდია იგი.
ფსალმუნი 65:18; 24:11

ვინაიდან თვითონ უფალი გადმო-ვა ციდან ბრძანების სიტყვით, მთა-ვარანგელოზის ხმაზე და ღვთის საყვირზე და ჯერ ქრისტეში მკვდარ-ნი აღდგებიან. შემდეგ კი ჩვენ, ცოც-ხლად დარჩენილები, მათთან ერთად ვიქნებით ზეატაცებულნი ღრუბლებ-ში, რათა ჰაერში შევეგებოთ უფალს და ამგვარად უფალთან ვიქნებით სამარადისოდ. 1თესალ. 10:13

ამიტომ, ჩემო საყვარელნო, როცა ასეთი აღთქმანი გვაქვს, განვიწმიდოთ ხორცისა და სულის ყოველგვარი სიბილწისაგან, ღვთის მოშიშებით აღვასრულოთ სიწმიდე. 2 კორინთელთა 7:1

აბა, შვილებო, დარჩით მასში, რათა, როცა იგი გამოცხადდება, გვქონდეს გაბედულება და არ შევრცხვეთ მის წინაშე მისი მოსვლისას. 1 იოანე 2:28

თქვენც ისულგრძელეთ და გულები გაიმაგრეთ, რადგან მოახლოებულია უფლის მოსვლა. ჩემო ძმებო, ნუ ჩივით ერთმანეთზე, რათა არ იყოთ მსჯავდადებულნი. აჰა, განმკითხავი კარზეა მომდგარი. იაკობი 5:8-9

ამიტომ, თქვენც მზადი იყავით, ვინაიდან, რომელ საათზეც არ ფიქრობთ, სწორედ მაშინ მოვა კაცის ძე. ლუკა 12:40

იარეთ ღმერთის სულის თანდასწრებაში

მიუბრუნდით ჩემს დარიგებებს: აჰა გადმოგაღვრით ჩემს სულს, გამოგიცხადებთ ჩემს სიტყვებს.
იგავნი 1:23

მოინანიეთ და ყოველი თქვენ-განი მოინათლოს იესო ქრისტეს სახე-ლით ცოდვების მისატევებ-ლად, და მიიღებთ სულიწმიდის ნიჭს. საქმეები 2:38

ნუ დათვრებით ღვინით, რომელ-შიც აღვირახსნილობაა, არამედ აღივსენით სულით. ელაპარაკეთ ერთმანეთს ფსალმუნით, გალო-ბით და სულიერი საგალობლე-ბით, უმღერეთ და ეფსალმუნეთ უფალს გულებში. მადლობდეთ ყოველთვის ყველაფრისათვის ღმერთს და მამას ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს სახელით. დაემორ-ჩილეთ ერთმანეთს ღვთისმოშიშე-ბით. ეფესელთა 5:18-21

ღმერთი იქმს თქვენში სურვილ-საც და მოქმედებასაც თავისი სათ-ნოებით. ფილიპელთა 2:13

ნუთუ არ იცით, რომ ღვთის ტა-ძარი ხართ და ღვთის სული ცოც-ხლობს თქვენში? ვინაიდან ფასით ხართ ნაყიდნი. ამიტომ ადიდეთ ღმერთი თქვენი სხეუ-ლით და თქვენი სულებით, რომ-ლებიც ღვთისაა.
1 კორინთელთა 3:16; 6:20

Scripture quotation taken from the publication of the institute for Bible Translation, Stockholm, Sweden,© 2001